

1938



ენიანობი


№ 20, 1938 წლის ოქტომბერი.

გამომცემლობა „კომუნისტი“

ფასი 60 ლ.



Handwritten numbers: 95899, 393



განწიხულთა საგედისფერო მარში

კავაკი ლევირაჟი თარიღს

მტერსამც ნუ ჰქონდეს სამღერი, ჩვენ კვლავ სიმღერა გვწაღია,—
 სალხენი, სასიხარულო უთვალავი გვაქვს ცხადია.
 დღეს ოცდერთი შესრულდა ბრწყინვალე წელიწადია,
 რაც ჩვენთვის დიად ოქტომბერს ეს ყოფა დაუბადია.
 ეს დევგმირული თარიღი ჩვენთან ზეიმთა თავია,
 ოცდამეერთედ გვესტუმრა დროშებით მონართავია—
 წინ შევაგებეთ ნობათად გამარჯვებათა ხვავია:
 ჩვენი ზრდა, წინსვლა, გმირობა, მიღწევა უთვალავია;
 თან, ვით მასპინძლის წესია მივართვით ესე პატაკი—
 ჩვენდა საამოდ, მტრისთვის კი—გულზე მახვილად სატაკი:
 თვეთა შორის სანატრელი, ვაჟაკი ხარ, იცი თავად,
 შენ იყავ, რომ მეფის ტახტსა მოველინე რისხვის ზეგად.
 ესერსა და მენშევიკსა ჭიტლაყი ჰკარ ისე მწვავად,
 რომ ნაპენტი მათი ბურღდა ქარს მიჰქონდა საფანტავად.
 დიდ ლენინის და სტალინის გენიის მზით ანთებული
 შენი დროშა უძლეველი ჩვენი გზა აწ ქებული,
 და ამ დროშით ვიმარჯვებდეთ—ვართ ურყევად ვალდებული—
 როგორც ამას კომუნისმის ითხოვს საქმე მართებული,
 რომ ჩვენს ბრძოლას არა ჰქონდეს ქიმი გადამართებული,
 რომ ჩვენს საქმეს კვალი სდევდეს—ვით მინდორზე ფართე ხნული.
 და ჩვენ ამ ვალდებულებას ვასრულებთ გადაჭარბებით;
 ნახეთ ცას, ქარხნების ბოლით ვით შეუტრუსეთ წარბები,
 ან მთები როგორ გავკვეთეთ—როგორც მაკრატლით ფარდები,
 ზღვა-ზღვაზე დავაქორწილეთ, უდაბნოს დავრგეთ ვარდები.
 ან ამ არკტიკას უყურე რა ოინები დავმართეთ:
 პოლუსებს ყოფა ვუტირეთ—ზედ ელსადგური გავმართეთ—
 სტრატოსფეროშიც ყოველდღე ვგზავნით შევარდნებს ვიზიტად;

ყველა მათგანმა ვარსკვლავთა ამბები ჩამოგვიზიდა,—
 მაგრამ ვის ძალუძს მოსთვალოა, რაც ჩვენ გვაქვს მოსათვლია—
 გამარჯვებები, რომლითაც დუშმანს დაუვსეთ თვალთა.
 ეს ჩვენი დიდი სიმდიდრე, ეს ჩვენი უძლეველობა
 ფაშიზმს თვალს ეკლად ჩანსო (გველმა დაიწყო გველობა)
 სუფრის თავს ჯდომა მოუნდა და ცოფმორეულ ღრენითა
 თვის გესლიანი ლაშქარი დარაზმა ჩვენსკენ ფრენითა,
 დასუნთქვა სცადეს, მოსინჯეს მაგრამ მათ დედა ეტირათ,
 რომ გავსრისეთ ქოფაკი—გეცოდინება ზეპირად.
 და ვით დღემდე, დღეიდანაც მისი გემის საჭე მძღავრი,
 გაჰკვეთს ტალღებს, რადგან შენ ხარ, განუყრელი თანამგზავრი.
 და ეს რწმენა და ე-სწრაფვა, რომ მსოფლიოს ხუთ მეექვსედს,
 მოველინოს, გაიყოლოს, სიხარულად გადაეცეს
 შენგან კიდევ ახალ ძალის მოზღვავებას ითხოვს ესლა,
 რომ შენივე სარღობითა მოხდეს ბნელთან მკაცრი შეხლა,—
 რომ ფაშისტურ სამყაროშიც ყურს უკლებდეთ მიწის ხანხარს
 და ვუმღერდეთ უკანასკნელს, გამარჯვების ძლიერ ხანძარს,
 რომ ფაშიზმს და კაპიტალიზმს ჭიტლაყი ჰკარ ისე მწვავად.
 რომ ნაპენტი მათი ბურღდაც ქარს მიჰქონდეს საფანტავად,
 რომ შენის მზით მთელ მსოფლიოს ჰქონდეს გული ანთებული,
 როგორც ამას კომუნისმის ითხოვს საქმე მართებული.
 რა ესმა ესე პატაკი ძმურად დაგვიკრა თავია:
 ოცდამეერთედ გვესტუმრა დროშებით მონართავია
 წინ შევაგებეთ ნობათი—გამარჯვებათა ხვავია:
 ჩვენი ზრდა, წინსვლა, გმირობა, მიღწევა უთვალავია.

ს. ფაშალიშვილი.

არისლი რეპსი



— გუტ, მითხარი აბა, რა არის ამ ნახატში?—შეეკითხა მასწავლებელი პატარა ბიჭს, რომელიც წელს პირველად შეიკვანეს სასწავლებელში.

— მანდ არის დახატული...მანდ არის დახა...
— ზარბაზანი, ბატონო.—დაასწორო მეორე მოსწავლემ.

— აბა, გუტ! თუ ამ სურათსაც ვერ გამოიცინობ სუსტს დაგიწერ. მითხარი, რა არის აქ დახატული?

— თოფი მასწავლებლო.

— ყოჩაღ, გადარჩი. აბა, თუ ამასაც გამოიცინობ ხუთიანს დაგიწერ. რა არის აქ დახატული?

სამმა მოსწავლემ ერთხმად წამოიძახეს:

— ტყვიამფრქვევი, მასწავლებლო.

— გუტ, აი, ხედავ? შენი ამხანაგების ბრალია, მაგათ რომ არ დაესწოთ და შენ გამოგეცნო—ხუთიანს დაგიწერდი. ახლა კი...

— სხვა მაჩვენეთ, იმას გამოვიცინობ, მასწავლებლო.—აცრემლდა გუტ.

— მაშ კარგი—განაგრძო მასწავლებელმა—ერთს სურათს კიდევ გიჩვენებ და თუ ვერ გამოიციანი ორიანს დაგიწერ იცოდევ. გინდა ასე, თუ სამიანს დასჯერდები?

გუტ ჩაიფიქრა. ჭკვიან ბავშვად იცნობდნენ გუტს. ცოდნით სხვა მოსწავლეებს არ ჩამორჩებოდა და ამას გარდა თითონაც ემარჯვებოდა ხატვა. დასჯერდეს სამიანს, თუ გაბედოს და...

მაგრამ მოფიქრება აღარ აცალა მასწავლებელმა:

— სამიანი, თუ გამოიცინობ?

— გამოვიცინობ ბატონო.

მასწავლებელმა გროვა სურათებიდან ერთი ნახატი ამოიღო და გუტის თვალწინ ამართა.

— ეგ არის...ეგ არის...—აბურტყუნდა გუტი, მაგრამ რაკი ამ სურათში აღნიშნულ ნივთისთანა არაფერი ენახა—ყოყმანი დაიწყო და ოთხჯერ გადახედა ამხანაგებს, იქნებ ახლაც დამასწორონ და ორიანისაგან მიხსნანო.

— ეგ არის...ეგ არის...—ბურტყუნებდა გუტ და თვალები ცრემლით ევსებოდა.

მასწავლებელი გაცხარდა:

— ეგ არის...ეგ არის ორიანი,—სთქვა მასწავლებელმა და საკლასო ჟურნალში, გუტის გვართან ვებერთელა ორიანი წამოჭიმა.

— აბა, ვინც ამას გამოიცინობს ხუთიანს დაუწერ.—ყველა მოსწავლის მისამართით სთქვა მასწავლებელმა.

ყველა პირლია შეპყურებდა უცნაურ სურათს...

და რამდენიმე მოსწავლე სკოლის ზარმა იხსნა გაშმაგებული მასწავლებლის ორიანისაგან.

შესვენებაზე გარს შემოეხვივნენ მოსწავლეები უცნაურ ნახატრებუსს და კამათი დაიწყეს იმის შესახებ, თუ რა უნდა ყოფილიყო აქ დახატული.

ამ დროს სკოლის დარაჯი მოხუცი კარლი შეძოვიდა ოთახში.

— რა გატირებს გუტ?—მოფერებით მიმართა მოხუცმა კარლმა გუტს...

— აი ის სურათი...ვერ გამოვიციანი და ორიანი...—აფშრუტუნდა გუტ:

კარლმა ბავშვებს სურათი გამოართვა:

— ამის სახელი თქვენ კი არა, ლამის არის მეც დამავიწყდეს... იფ.იფ.იფ. რა მშვენიერი ძეხვებია დახატული!—თქვა კარლმა და ასი გრამი ნერწყვი ერთბაშად გადაყლაბა.

302

აქა უსვარი

აკაკი წერეთლისა

„სულიკოს“ მთარგმნელის ალექსანდრე ყანჩელინსადმი, ოღუა თარგმანი წაიკითხა.

დიდხანია მშვიდათ ვარ „ცოდვაც“ არ ჩამიდენია, აღკვეთილ ვიდოდ უდაბნოს, სული ხორცისთვის მშთენია, ვხარობ, რომ ჩემსა სამშობლოს ია და ვარდი ჰფენია, მიხარის—ხალხში აყვავდა შემოქმედების გენია...

ვცდილობდი არ „წამეწყმიდა“ ხორცი საკვდილით ძლეული, არ შემერისხა მთარგმნელთა ლაშქარი გზადაბნეული, არ დამენახა პოეტი ჯაბანი, წელმოთრეული, არც რაში ფაფარაყრილი, აქლემად გადაქცეული...

მაგრამ არ იქნა, ვერ შევძელ დაშრეტა აღტყინებისა, ცეცხლი მომედო თაკარა კრძალვის და შეგინებისა, ხელში ავიღე კალამი, ვახსენე ჩემი გამჩენი, და მყისვე გამომეცხადა მე ალექსანდრე ყანჩელი...

წამსვე დავკარგე სიმშვიდე, სული აბორგდა გრძნეული, ოდეს ვიხილე „სულიკო“ თავზე ლაფგადანთხეული, მეორედ მოვკვდი კინალამ, დავგმე თარგმანი ეული, აღელვებული ავდექი, შორს გადავაგდე რვეული...

ვამბობდი,—ჩემო მთარგმნელო, რად შემირცხვინე ქალარა, რად შემვიგინე ჩონგური, ჩემი დაფი და ნალარა...

შენმა ცოდვილმა თარგმანმა დამანაოქა, დამლარა— „სულიკო“ ჩემი არ არი, მე აღარ მინდა აღარა...

ოლიმპზე კრება შემდგარა, რუსთველიც იქ ყოფილაო, შენი თარგმანის კითხვაზე ოლიმპიც დაიჩრდილაო: —იყო და არაიყორა ბუჩქებში „ქილა—ბილაო“ სულგანაბული ბულბული—„კლიუვი ნაკლანილაო“...

მივეხმატკბილე ჩიტუნას, შეკითხვა დამაცალაო, ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა, თითქოს თქვა „უგადალაო“... ამა სიტყვების გამგონე ამა თარგმანით ვნებული, ფეხზე წამოდგა რუსთველი დაღლილი, დაღონებული,

ზარი გაისმა და მყისვე სმენად გადიქცა კრებული,— ვარდი გააპო მგოსანმა, სიტყვა თქვა აღელვებული: —ნეტავი ესე თარგმანი თვალთაგან არ ნახულიყო, წყალსაც წაელო, ოლონდაც ჩვენამდის არ მოსულიყო,


ქართული ლექსის მშვენიება, რა გიყვეს, ჩემო „სულიკო“ სჯობდა „სულიკოს“ დაკარგვას თარგმანი დაკარგულიყო... შემდეგ დასძინა სულმნათმა—მკითხველებს ასე ეთქვასო: სანდროს „სულიკოს“ თარგმანსა—პასპორტი ჩამოერთვასო...

აბუზარა




საჰაერო პარაშუტები

— რა არის, გოგო, გუშინ სუთი მეტრით დაიგვიანე, გუშინწინ ექვსი მეტრით, თუ ასე გაგრძელდა—ჩხუბი მოგვივა, იცოდეს..



ახალი წიგნი



ეს, ქვემოთ მოყვანილი ბარათი გუშინ მივიღე პროვინციიდან ერთი ამხანაგი მწერლისაგან:

„ძმაო შალვა!
შენი ბარათის პასუხად — „რას შერები, როგორა ხარ, რასა იქს შენი რომანიო“ — შემდეგი უნდა შეგატყობინო:

უკვე მესამე წელიწადია და ამ ათფორმიან რომანს „ახალ დროებს“ ბოლო ვერ მოვუყვანე, ვერ დავამთავრე.

მიზეზსაც მოგახსენებ: კარგად იცი როგორი საყვედურებით მაორსულენდნენ ჩვენი ამხანაგი კრიტიკოსები ამ სამი წლის წინათ: „ცხოვრებას არ იცნობო, ახალი გმირები მკრთალად იმზირებიან შენი რომანებიდანო“ და აი მეც, რომ ჩემი გმირებისთვის სათვალეები ჩამომეგლიჯა და უკეთესად ემზირათ რომანებიდან, გადავწყვიტე საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების სწორად ასახვის მიზნით, ადვილობრივ ვწვეოდი კოლმეურნეობას.

დავიწყე რომანის „ახალი დროების“ წერა, რომანის გმირად ნამდვილი ცოცხალი კოლმეურნი კომბაინერი ტარასი ავირჩიე და შევუდექი წერას. რამოდენივე თავი დავწერე და თვითონ ჩემს გმირს ტარასის წავუყითხე.

— რატომ დიგვირდა ამ ტყუალების შეთხზვა? განა ჩემი ცხოვრება მაგაზე ნაკლებ შინაარსიანია?! — მისაყვდეურა გმირმა.

მიაბზო თავისი ნამდვილი ბიოგრაფია. ვხედავ აქ უფრო საინტერესო ამბები, მაგრამ ერთი წინააღმდეგობაა: ტარასი უცოლოა, სიყვარულის შესახებ არაფერი უამბნია და რა შინაარსი აქვს რომანს სიყვარულის გარეშე!

ტარასიმ თქვა:

— მე კუნძი არ ვარ, რომ ისე გამეტარებინოს ჩემი ცხოვრების მესამედი. მიყვარდა ერთი ქალი, უარი მითხრა, არ წამომყვა ლამაზი ლილი, ჩვენი თეატრის პრემიერმა. მდგომარეობით დამიწუნა ალბათ.

— ახლ ალარავენი გიყვარს? — ვკითხე მე.

— როგორ არა, მაგრამ მალე დაამთავრებ წიგნს?

— წიგნი რა შუაშია?
— იმ შუაშია, რომ მე ჯერჯერობით ვერ ვთხოვლობ იმ გოგოს და წიგნმა რომ დამასწროს გამოსვლა, არ მინდა ხალხი ვაჭორავო...
მე პირობა მივეცი, რომ რომანს ქორწილამდე არ გამოვაქვეყნებდი და ტარასიმ გამიმკლავნა საიდუმლო: კოლმეურნე გოგო — ნინო ჰყვარებოდა, გოგოსაც უკვარდა ტარასი, და ჩემი რომანი სინამდვილის ძიხედვით ვასწორე.

ჩავდივარ სოფელში. მინდა კოლმეურნეებს წავუყითხო წიგნი, მაგრამ სულ სხვა ამბავი მხედება: ნინო ჯერ არ უთხოვია ჩემს მთავარ გმირს. ტარასის თურმე გეგმა გეგმაზე გადაუჭარბებია და უკვე მოსკოვში გაუგზავნიათ კომბაინერთა შეკრებაზე.

ჩავუმატე რომანს ეს ახალი ამბავი. ამის მიხედვით გადავასწორე საფუძვლიანად. სამი მაკრატელი გავცვივით რომანის მონტაჟში და უბედურებაში, მაგრამ აი რა მოხდა:

ვიღაცამ მითხრა: ტარასი ნინოს აღარ შეირთავს რადგან მან ორდენი მიიღო და არც მსახიობი ლილი ეტყვის უარსო. მეც სწორად მივიჩნია ეს აზრი. გადავაკეთე რომანი: ტარასის ლილი შევრთე. ველოდები გმირის მოსკოვიდან ჩამოსვლას. სადგურზეა მთელი სოფელი. ჩემს გმირს, ტარასის უცდიან კოლმეურნეები დროშით და ყვავილების თაიგულებით ხელში. ჩამოვდა მატარებელი.

ტარასი ჩამოდის. მიესევა ხალხი ესალმებიან, ულოცავენ.

და თიქო ჩემს ჯიბრზე ტარასი იმ წუთში იმას კითხულობს თუ ნინო სად არის, რატომ არ დაუხვდა, რომ ნინოს ისეთი კაბები ჩამოუტანა მოსკოვიდან, ერთ რამედა ღირს.

დაიწყო ჩემი ლიტტრაგედია. წამოვედი ქალაქს. თავიდან, ახლად დავწერე რომანი. გადის რამოდენივე თვე, ჩავდივარ სოფელში, ვუყითხავ კოლმეურნეებს რომანის ახალ ვარიანტს და მიკითხებიან:

— ის რატომ არ გიწვრიათ, რომ ტარასიმ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა, რომ ტარასიმ სასოფლო-სამეურნეო ახალი მანქანა გამოიგონა, რომ ტარასი ახლა მანქანატრაქტორების სადგურის დირექტორია?

მე ვერაფერს ვამბობ, ახლად მივდივარ ქალაქს, ჩავუმატე რომანში ეს ამბებიც, მაგრამ მთლიანად იცვლება კვანძი, ახლად მიხდება რომანის დაწერა.

ისევ სოფელს დავუბრუნდი, ვკითხულობ

რომანს და იცინიან კოლმეურნეები. მეუბნებიან:

— კი, მაგრამ, ტარასი რომ საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად ავირჩიეთ, ტარასი რომ მეორედ იყო მოსკოვს და მეორე ორდენი მიიღო?

ისევ ქალაქი, ისევ რომანის გადამუშავება, ისევ კოლმეურნეობა, რომანის განხილვა.

— კი მაგრამ, ტარასი რომ მოსკოვიდან დაბრუნდა იცით რა მოხდა? — მეუბნება ტარასის ცოლი ნინო, — ჩვენს კოლმეურნეობას უჭირდა, ისევ კომბაინერობას მოჰკიდა ხელი, სოფელს დაეხმარა და ორი თვის სამკალი ხუთ დღეში აიღო. ამით ორჯერ გადააქარბა თავის ძველ რეკორდს.

ამ საყურადღებო ამბავსაც ვუმატებ რომანში. ახლად ჩავდივარ სოფლად წიგნის განსახილველად:

— ტარასი ახლა რაილმასკომის თავმჯდომარეა, ტარასი წიგნს სწერს კომბაინის შესახებ. ეს რატომ არ შეგიტანიათ? — კიდევ ახალი კითხვები იჩენენ თავს.

მივდივარ ტარასისთან. სადა ხარო, საყუდურს მეუბნება და ვეკითხები. თუ მომავალში კიდევ რა ახლის გაცვებებს აპირებს.

— რა ვიცი, — ამბობს ტარასი, — მე ხალხს ვეკუთვნი, როგორც დავჭირდები, რასაც დამავალბენ იმას გავაკეთებ.

მივდივარ რაიკომის მდივანთან. ვეკითხები, თუ რას გააკეთებს მომავალში ტარასი, იქნებ მან მაინც იცოდეს ამის შესახებ, მაგრამ რაიკომის მდივანი ღიმილით მეუბნება:

— ჯერ რაილმასკომის თავმჯდომარედ უფრო საჭიროა. შემდეგ კი ხალხის ინტერესები რასაც დაავალბებს იმას გააკეთებს.

— ის კი გააკეთებს, მაგრამ მე რა ვქნა, რა გავაკეთო? — ვეკითხები მე.

— შენ მწერალი ხარ, რა უნდა გააკეთო, დაჯექი და წერე! — მეუბნება რაიკომის მდივანი...

ვქ, რა ადვილი სათქმელია ეს სიტყვა: „წერე“. შენი კ.

გ. ივანიშვილი.



სედრაკას კასაქორი



ოქტომბრის რევოლუციამდე სედრაკას საკუთარი ფურნე ჰქონდა. ჰყავდა ათამდე პურისმცხოვლები. თვითონ სხვებსავით მუშაობდა პირველ ხანებში, თუმცა „ხაზინის“ პოხას არასოდეს არ იფიწყებდა, მაგრამ, როცა კარგა „სული მოითქვა“ და ქონი მოემატა ცოლი აუხირდა:

— თავი დაანებე რაღა მუშაობას, დუნია რას იტყვის ამისთანა პრედრიატების პატრონია და მაინც მუშაობსო. თავი მოგვეჭება რაღა. თრიატრში, ან კრუჟოკის ვერებში გამოსვლა აღარ გვინდა?

სედრაკა ერთხანს ჯიუტობდა, მაგრამ ბოლოს ცოლმა მაინც თავისი გაიტანა და სედრაკას მხოლოდ „ხედამხედველობის“ ნებას აღწევდა ფურნის მუშებზე.

ზოგჯერ სედრაკას ცოლი ჰაიკანუშა კონტროლს უკეთებდა ჩემი ქმარი ხომ არ მატყუებს და რამე „შავ“ საქმეებს ხომ არ აკეთებსო.

— სედრაკა.— გასძახებდა ფურნეში მოსული ჰაიკანუშა.

— ჰაე, — ხომ სუფთა ხარ, სედრაკაჲ, ვიფიქრე წავალ ვნახამ, ერთიც ვნახოთ რამე შალოსტები შვრება, შავ მუშაობას აეთებს მეთქი, კანტროლი ვქენი რაღა.

— ვა, — გაკვირვებით მიუგებდა სედრაკა, — შენც ერთი დამოყენის რევიზორი გამიჩნდი რაღა. მითქვია გამითავებია: სედრაკა ხაზინია მეთქი. მორჩა გათავდა.

— ვაიქი, რას ჯავრობ ქრისტიანო მე შენთვის არა ვფიქროვ.

— მეც შენთვისა ვფიქროვ ჰაიკანუშ, შენთვისა.

— მაშ აღარ ჯავროვ?

— ვა ასეთ ნუგბარ საქონელს გელაპარაკები და ვიჯავროვ?

ასე გაატარა სედრაკამ წლები, მოვიდა მსოფლიო ომი. სედრაკას არანორმალურად გაზრდილი მუცელი და რაღაც კიდევ სხვა მიზეზი უპოვნეს ექიმებმა და შინ დასტოვეს. ამიტომ ომის წლებში კიდევ უფრო სუქდებოდა სედრაკა. მოვიდა თებერვლის რევოლუცია მაგრამ სედრაკას ცხოვრებაში ბევრი არაფერი გამოცვლილა. ეს იყო რომა უპურობის გამო ნაშოვნ პურს სპეკულიანტურ ფასებში ჰყიდდა და თავს ამით იტყვევდა. მაგრამ აი საბჭოთა წყობილება დამყარდა საქართველოში და სედრაკას ერთბაშად ყველაფერი ხელიდან გამოაცალა.

— ვაჰ, ეს რა ხათაბალა გიმოტყვრა ქრისტიანებოჯან, იძახდა სედრაკა გაკვირვებით და არ იცოდა რა ექნა, რა ემოქმედნა. ცოტა ხნით უადგილოდ დასტოვეს იგი. შემდეგ მისმა ძველმა მუშებმა შეიბრაღეს, მიიღეს ფურნეში და უკვე დავიწყებული ხელობა — პურის ცხობა ხელახლა შეასწავლეს. მუშაობდა სედრაკა, ხან ავად ხან კარგა. თავის ძველი მდგომარეობა რომ აგონდებოდა ხშირად ჯუჯღუნებდა, მაგრამ ბოლოს თანდათან შეურიგდა ბედს, მით უფრო რომ გაკაპრიზებული ჰაიკანუშა გარდაცვალა და მისი ცხოვრების უმეტეს ნაწილს მუშებთან ატარებდა. მუშები კი სულ სხვა ჰაერს უქმნიდნენ სედრაკას და ისიც მოლბა. ოქტომბრის რევოლუცია 21 წელში რომ გადადგა, სედრაკამ წაჰბაძა დანარჩენ მუშებს და პარტიაშიც კი ისურვა შესვლა.

— ვა, ესეთი რამ საქმე გაგიგონიათ? — ამბობდა სედრაკა — თქვენ თუ კაცი ხართ, მაშ და სედრაკას ქუდი აღარ ხურებია? ის კაცი აღარ ყოფილა და.

სედრაკას აუხსნეს, რომ პარტიაში პოლტიკურად მოუმზადებელ ხალხს არ იღებენ, მხოლოდ ასეთი მომზადებისათვის უპირველეს ყოვლისა პოლიტკოდნის წრე უნდა გაიარო და პარტიაში შესვლის საკითხი მხოლოდ შემდეგ უნდა დასვაო.

სედრაკამ განაცხადა თანხმობა და წრეში ჩაეწერა. მაგრამ მას ერთი დიდი უბედურება დასჩემდა აქ:

როგორც კი დაიწყებოდა პოლიტწრის მაცადინეობა, სედრაკაც იმწამსვე თვალებს დახუჭავდა და ძილს იწყებდა.

— გაიღვიძე სედრაკა.

— ილაპარაკოს გენაცვა, ესეც რამეა. — წაიბურტყუნებდა და კვლავ იძინებდა.

მოახლოვდა ოქტომბრის რევოლუციის 21 წლისთავი და წრეში

გამოცდები დიიწყო. დღეს ლექტორს განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის 21 წლის მიღწევების საკითხები აინტერესებდა.

უმრავლესობამ კარგად ჩააბარა გამოცდა. დანარჩენებმა საშუალო მომზადება გამოიჩინეს მაგრამ სედრაკა ჩავარდა ფიქრში და ეერ მიმხვდარიყო თუ საიდან გაიგო ამ ხალხმა ამდენი დუნისა და ჰვეროპის პოლიტიკის რამეები?*

ბოლოს სედრაკაც გამოიყვანეს და კითხვები მისცეს:

ლექტორი— რა მოგვცა ოქტომბრის რევოლუციამ სედრაკა, აბა, რას გვეტყვი?

სედრაკა— ოქტომბერმა? მაგას ვინ მოსთვლის! ოქტომბერმა ბევრი რამე მოგვცა რაღა. ჩვენ რომ ახლა ცოცხლები ვართ ჰამაც პურსაც რომ ვჭამთ. თანაც ზედ კაი წვადები და ზაკუსკები რომ ვაყოლებთ ეს ხომ იმ დალოცვილი ოქტომბრის საქმეა და...

ლექტორი— ჰო ეს. კი მაგრამ დასახელებთ აი, მაგალითად, ვისი ბატონობა მოსპო ოქტომბრის რევოლუციამ და რა შეჭმნა?

სედრაკა— (ცოტა აბნევიტ) ვისი ბატონობა? ვა, მოსპო რაღა, აა მეც ხომ ბატონობა დავიწყე. ჩემი საცოდავი ჰაიკანუშა რომ მუდამ ბურჯუას მეძახდა რაღა ისინიც მოისპო, მახლახ, მაშინ რა ვიცოდით?..

ლექტორი— (შეაწყვეტინებს) კარგი. მოითმინეთ (ბეორე მუშას) აბა, სერგო თქვენ მითხარით ვისი ბატონობა მოსპო ოქტომბერმა?

სერგო— მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობა მოსპო ამხანაგო ლექტორო. ვაიმარჯვა მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ.

სედრაკა— (გაოცებული შესტკერის სერგოს) ვა, ესეც ახალი პრაოკი გამოვიდა რაღა, სედრაკამ განა სწორი არა თქვა მაშ?

ლექტორი— მაშ კარგი. სედრაკა, ახლა ის მითხარით ოქტომბრის რევოლუციის 21 წლისთავზე რა მიღწევები გვაქვს? მაგალითად რომელი კლასები მოისპო და რომელი დარჩა ჩვენს ქვეყანაში?

სედრაკა— (ცალ თითს აიშვერს და თვალები უფართოვდება) კლასები? ეს რომელი კლასები? უჩინიკები რომ დადიან და უჩიტელთან წიგნებსა კითხულობენ? კი არ მაისპო, გამრავლდა ლექტორჯან, ყველა პერეულკაში ეხლა სკოლაა თავისი კლასებითა და უჩიტლებითა

ლექტორი— აბა. გრიგოლ, თქვენ მოეხმარეთ სედრაკას — თქვენ რაღას იტყაით?

გრიგოლ— ჩვენს ქვეყანაში მოისპო ყველა მტრული კლასები, მოისპო ფეოდალები, კაპიტალისტები ქალაქში და სოფლად. დარჩა მუშათა და გლეხთა კლასები და მშრომელი ინტელიგენცია.

სედრაკა— ვა, განა მუშათა და გლეხი კლასი რამეა? განა ინტელიგენცია ახალი საქმეა? არა გრიგოროჯან ვა, ეგ როგორი საქმეა?

ლექტორი— (კვლავ აწყვეტინებს) მაშ ახლა ის გვითხარით სედრაკა მსოფლიო ომის წინაწელთან შედარებით რამდენად გაიზარდა ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა?

სედრაკა— ჰო, გაიზარდა რაღა, ჰუზურში ძალიან ბურნათ გაიზიარდა. ვა, ჩვენი მრეწველობისა და სოფლის საქმე მაშ სახუმარო საქმე ხომ არ იქნება და... ეს სულ სერიოზნი საქმეა, რაღა. პური! ხორცი, ტანისამოსი — სულ იქიდან არ გამოდის? ჩვენ კი ვჭამთ და ვიცომთ, ვჭამთ ვიცომთ, მაგრამ კიდევ და კიდევ გვინდება რაღა. ეს სულ აპეტიტის საქმეა მეთქი.


ლექტორი— აბა თქვენ სანდრო, რას იტყვი ამ საკითხზე?

სანდრო ჩვენი წარმოება ომის წინა დროსთან შედარებით გაიზარდა სამჯერ, ოთხჯერ და კიდევ მეტჯერ ზოგიერთ დარგებში. ბევრი ახალი დარგები შეიქმნა წარმოებისა. სოფლის მეურნეობა გაიზარდა ორჯერ და კიდევ მეტად.

სედრაკა— ვა, ვა, ვა. (გაიკვირვა და ხელები ფართოდ გაშალა) მაშ ყელამდე ავშენებულვართ რაღა.

დარბაზში სედრაკას ლაპარაკის დროს დამსწრენი სიცილს ვერ იკავებდნენ და ამაზე უფრო ჯავრობდა სედრაკა:

— იცინეთ, იცინეთ, დიდი სურიოზნი საქმეები ყოფილა, შეგარგოთ რაღა.



ბერლინის პალატიასთან

— მამილო, ვისია ეს ხელები და ფეხები?

— ეს, შვილო, ხელოვნური ხელ-ფეხია, ხელს ან ფეხს რომ მოსჭრიან ადამიანს, ამას უკეთებენ...

— კი, მაგრამ რატომ თავებიც არ იყიდება? ჩვენში ხომ თავებს უფრო მეტს სჭრიან?

ლექტორი — მამ ერთი უკანასკნელი შეკითხვაც სედრაკ, და ამით დაეასრულოთ. როგორი მეურნეობა არის ჩვენი ქვეყნის მეურნეობა კაპიტალისტური თუ სოციალისტური.

სედრაკა — მეურნეობა ლექტორჯან არა?

ლექტორი — დიახ, მეურნეობა.

სედრაკ — კარგია რაღა. კოლექტივნი მეურნეობა, ატამი და ვაშლი მოზიდეს, იმოდენა ყურძენი და საზამთრო მოზიდეს რომა, ვა, ვა, ვა, აივსო რაღა, მთელი ბაზარი აივსო რაღა. ერთი რომ ძალიან გინდოდეს იმათენით პრახოდიც არ არის.

ლექტორი — შენ სთქვი გედგონ, ცოტათი მაინც მოეხმარეთ სედრაკას თორემ ძლიერ შორს წავიდა.

სედრაკა — შორს წავიდაო? — (გაიკვირვა და ხელები კვლავ ფართოდ გაშალა.) აქა ვარ ლექტორჯან, როგორაც დავმდგარვარ, ვდგევარ, ვერშოკითაც არ გამიწევია.

გედევან — ჩვენი მეურნეობა როგორც ქალაქში, ისე სოფლად სოციალისტური მეურნეობაა ამხანაგო ლექტორო. ჩვენში სოციალისტურმა სისტემამ საბოლოოდ გაიმარჯვა კაპიტალისტურ სისტემაზე და გიგანტურ ნაბიჯებით მიიწევს წინ.

ლექტორი — გეყოფათ. დაჯექით გედევან. (სედრაკას) თქვენ კი სედრაკ, სჯობს ყველაფერი თავიდგან დაიწყოთ თორემ...არ იცით, არაფერი არ იცით სედრაკ.

სედრაკ — (კვლავ საჩვენებელი თითის ბრიალით მიდის და ჯდება) — ვა. ვა. ვა. ასეთი რამე ნახულა? გაგონილა? კაცმა სამი თვე გამუდმებით ისწავლოს და ახრიზამანში გებნებიან თუ არაფერი იციო... თუ ამდენა პრაფესორები გეყოლია რაღა, სედრაკამ რაღა დააშავა რომა ერთი აშიპკა მრუდეთ თქო. სამართალია?

დარბაზში კიდევ კარგახანს გრძელდებოდა სიცილ-ხარხარი. სედრაკას ხმა აღარ ამოუღია.

ტექტი: ბიასი

პაპიალისტი



მისი უმუდღერესობა ანდრე ფულაგი ოკლამბერს აქტი ნიანგის მუზეუმის საუკეთესო ექსპონატს წარმოადგენს. ჰუაგს უამრავი ნათესავები დიდამიწის ხეო მუცხედ ნაწილზე. საზღვარგარეთის მუშათა კლასის ღაპირების თანახმად, ფულაგის ნათესავებიც მადე ნიანგის მუზეუმში იქნებიან მოთავსებულნი.

თაბაღი



მისი უზარმაზრობა აურახიონ ბუზიულაპიაშვილი გარდაიცვალა ქართველ მენშევიკებო 5 ირ-ად. უქარაღა ჭამა-სმა და ჰქონდა საუკეთესო მადე. აქ განიხებენ ნია-უის მუზეუმში. წამკითხველნი, შენდობა უთხარია.

მღვდელი

განძარალი



მისი ბრწყინვალეობა ვანო სურდოს-ქე ცხვიროვი, ამწიოცებელი მრავალ მშვიდობიან მოსახლეობისა. მშვიდობიანობის კვილაზე უფრო მოყვარულმა მუშამ ნიანგის მუზეუმში გაისტუმრა.



მამია ტიპოთე ბურღაშვილი ხულ წინ-წინ მადის: თანდათან ზღება და ზუნდება. ფოფოლია გაუთოლდა, — დიკეანს გავეა. ჩადგან ამ უკანასკნელმა ბოლო დროს უბატონოსო შრომის თევი დაანება და ზეხულ ირისხს გაიფიდა დაიწყო.

თაბაღის ასული „მირი“



[მერიკო ივანოვი-ღაშვილი, შეჩეული იყო უზრომლად ცხოვრების და ამიტომ თეკს ღრი-ქე. ლუენგანებელი საკინზრეცხ მიაკითხა. ათამაშეს რამოდენიმე ფილმში, მაგრამ მკურნებლებისათვის მაინც უტრნობი მსახიობი დარჩა, ჩადგან ჩვენი ზოვიერო რევისორების წყალობით, ცეტროს ის ფილმი ეტრანს არ ღირსებია

ვახარი



საკულ ბრინჯოვი „გული კუბეც“ იყო. კოლოერაციამ ისე გაახუნა, რომ მწვანეღვლელობით ვებრობაზე გადავიდა. აქაც ულაღატა კოლოერაციამ და ბოლოს, მწვანეღვლე ვეღარ გაახალა.

ფოფოლია



უბნის ქალების „მშვენება“. „მღალატობდა“ ქარი და ისიც კმარს ზაძედა. ცნობილი იყო ექიმბაშობით, მაგრამ ჩვენს დროს „ხაქ-მეტიბი“ მშვიდობილი და სახადე დარჩა.

მლიქმველი



ქვეყნად შაკარი რომ არ აჩვენებდეს ივანე ანდუფაფარისთან „ტბილი“ არაფერი იქნებოდა, მაგრამ, რატომღაც, პატიოსანი ხალხი მაინც ემტერება. ნიანგის მუზეუმში გარეშეც ჰუაგს ზოვი მეგობრები.



ქართლის პარკი

შემოდგომის მზიანი დღეა. კოლმეურნეობის სავაჭრო ფარდული ღიაა. თაროებზე ბოსტნეულისა და ხილის გროვებია. ფეხით გასრესილ კონკრეტულ დაკლულ ბატივით გაუშლია ფრთები. დახუთილ, მწიფე პამიდორს ობი მოჰკიდებია.

მთელ ფარდულს ერთად-ერთი ნოქარი—გიგა უწევს მომსახურებას, რომელიც ახლა არხენინად ჩამომჯდარა მერხზე, ხელში ძველი ჟურნალისაგან გაკეთებული ქაღალდის პარკი დაუჭერია და თავის ქნევაზე და ქინდილზე ეტყობა, რომ რაღაც გასაოცარ ამბავს კითხულობს.

ფარდულში, გიგას სოფელი, ნიკალა შემოვიდა. მიმოიხედა. მკლავზე პალტო გადაეკიდა და ეტყობოდა, რომ სოფლიდან საგულდაგულოდ აქ იყო ჩამოსული.

— გამარჯობა გიგა! რას კითხულობ, მგერე რო გაუტაცინხარ? — შეეკითხა ნიკალა და პალტო ლურსმანზე ჩამოჰკიდა.

— ო, ნიკა, შენა ხარ? ხა. ხა. ხა. ხა. რა სწერია კაცო, ხედავ?!

— ჰო, რაო?..

— თავებზე სწერია. გამაჩანაგეს კაცო თავებში და სათაურად რომ წავიკითხე „თავებთან ბრძოლა“, დავინტერესდი, აბა ერთი რა სწერია მეთქი.

— მერე?

— მერე და, აბა მოდი ყური დაუგდე!

— ჰ... ..

— ...თავის სოროების გათხრების საშუალებით გამოკვლეულ იქნა, რომ შემოდგომის განმავლობაში თავები თავიანთ სოროში იმარაგებენ: ხორბალს—2 კილოგრამს, ცერცვს—3 კილოგრამს, სტაფილოს—4 კილოგრამს“. ხა. ხა. ხა. ხა. ხედავ კაცო? თქვენ კი მუდამ სჩივით საქონელი გაკლდებოდ! დასაკლდება მა რა ჯანაბა იქნება. არა, ეს პარკი თვალისჩინივით უნდა შევინახო და იქ, კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე. ფარდულზე რომ ლაპარაკი შეიქნება, უნდა წავიკითხო.

— აქ მაჩვენე ეგ პარკი!

— არა გჯერა? თუ გინდა დახიო? არა ძმაო, არ მოგცემ. ეს ჩემი საბუთია...

— კარგი ერთი, ბალლი ხომ არა ხარ, მაჩვენე მეთქი!

— ერთი ხელი აიღე და!

— მაიტა მეთქი, ვნახო კაცო, — გამოგლიჯა ხელიდან პარკი ნიკამ და კითხვა დაიწყო.

გიგა, როდესაც დარწმუნდა ამ ქიშვიათ პარკს არ დამიხევენო— დამშვიდდა, ცხვირი მოიხოცა, წინსაფარზე ხელი შეიწმინდა და ნიკას თვალეში შეაცქერდა.

— ხა. ხა. ხა. — უცბად გადაიხარხარა ნიკამ.

— მაზალო რამეა, არა?!

— ბოლომდი რატომ არ წაიკითხე, ბოლომდი?!

— როგორ ბოლომდი!

— ყური უგდე: „დიდ ინტერესს წარმოადგენს თავის სორო, სადაც გამართულია პროდუქტების საწყობი. მაგალითად სტაფილო, პატარა ოთხკუთხედებთანა დაჭრილი თავების მიერ და იარუსებათ დაწყობილი, რომლის ქვეშ გათხრილია საგანგებო ხვრელები, ამ ხვრებით მიღებულია სავენტილიაციო სისტემა, რომელიც იძლევა ჰაერის ნორმალურ ცირკულიაციას, რითაც უზრუნველყოფილია სტაფილოს დიდ ხნით შენახვა. თავის სოროდან ამოღებული ცერცვი საცდელად იქნა დათესილი და მათგან 91% ამოვიდა.“

გიგა უსიამოვნოთ შეიქმუნა.

— ჰოო...

— გაიგე ხომ! ახლა ამ პარკს მე შევინახავ თვალის ჩინივით და ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომ მოვა წავუკითხავ. თავი შენა ყოფილხარ, თორემ ისინი რომ შენზე ჰკვიანები ყოფილან. ამას ლაპარაკი უნდა? ჩვენ იქ მოსავლის მოყვანაში ოფლსა ვღვრივთ და შენ კი აქ ნახევარს ალბომ, ღორების სადგომს დაამგვანე ფარდული!

სისულელეა, რაც მანდ სწერია ყველაფერი მართალი გგონია? — უგუნებოდ ჩაილაპარაკა გიგამ და დახლისკენ გაბრუნდა. — სწერენ რაღა!...

— აღარ მოგწონს?!

— მაშ, მაგას თუ დავუჯერეთ თავები პროფესორები ყოფილან!

— კარგი, კარგი, გეყოფა. დარაბები მი ხურე, სადაცაა თედოც მოვა. ფარდული უნდა ჩავიბარო.

— მომხსნეს?

— მაშ არა და ჩვენს ნაამაგარს შენ გაგაფუჭებინებთ. თავი რომ კაცს აჯობებს ის რა კაცია!

გიგა გაბრაზებული შესქქერის ქაღალდის პარკს, რომელიც მის შემცვლელს ხელში უჭირავს და გულზე სკდება იმის გამო, რომ არ შეუძლია ეს პარკი გამოსტაცოს ხელიდან, დაფხრიწოს და ანით მაინც იჯეროს გული.

ა. გელიაშვილი

ცხედ-ცხედი ამბები

„გულკეთილი“ კომუნალი

თემაგაძის წმინდის „ახალი“ წმინდის

თბილისის საფინანსო ეკონომიურ ტექნიკუმის საერთო საცხოვრებლის კომუნალიტეტმა დოლიძემ შენობის სახურავის რემონტზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ შენობაში ჩამოსული წვიმის წყალი შრომის შეუმსუბუქებს დამლაგებელ ქალს იატაკის ნორეცხვის დროსო. **ქტიონავალი.**

წალენჯიხის რაიკავშირის გამგეობის წევრები, რომლებმაც ხუთი თვეა, რაც სოფლის კოოპერატივებისათვის ერთი ღერი პაპიროსიცი არ გაიმეტეს, გუშინ თამბაქოს მოჭევის სურვილით გამწარებულები ძალით შეიჭრენ კოლმეურნე არქანის ოჯახში და ბუხარში თავების შეყოფით უხვად ისუნთქეს ნახერხის ბოლი. **ასათიანი.**

მცურავი ხიდი

ახალი საშუალება

გეგეჭკორის რაიონის — საგზაო განყოფილება ერთი კვირაა ეძებს მათ მიერ სოფ. ნაჯახოვოში მდ. ნოლაზე აგებულ ხიდს, რომელიც ცხენიანი კაცის გავლეს დროს წაქცეულა და გულმოსული წყალში შეცურებულა. **ა. დანელია.**

ზუგდიდის საშაქარლამო „ოდიშის“ გამგე კ. ლუკაევამ, რომელიც რძეში ყოველდღიურად 99% ანკარა წყალს ურევს, გადასწყვიტა რძისფერის მისაცემად ქუთაისიდან გამოიწეროს ერთი ფუთი ცარცი. **ომარა.**

ჩაპარი ტემპით

სეზონის გახსნა

აბაშის რაისაბჭომ, რომელმაც რაიონის ახალი თეატრის შენება სულ რაღაც სამიოდე წელია რაც დაიწყო და საძირკველი უკვე ჩაუყარა, — გუშინ განაცხადა, რომ შენობის საბოლოო დამთავრებას მისი საძირკვლის დანგრევამდე აუცილებლად მოვასწრებთო. **სენე.**

ჩხარის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა - უ. ფოჩიძემ და რეჟისორმა ლ. სუანელმა მთელი ზაფხულის განმავლობაში ლაზთიანად დასვენების შემდეგ გადასწყვიტეს მომავალი ახალი წელი თეატრის სეზონის გახსნით იდღესასწაულონ. **სკვანერი.**



წიგნისწარმუცყველი



ფაშისტური გერმანიის ერთერთი სკოლის ეზოში მოწაფეთა ხმაური სმენას უხშობდა ადამიანს.

ხის ძირში იდგა შიმისაგან დაბნეული ჰანსი, გამხდარი და თვალებჩაცვენილი.

- შენ გერმანელი ხარ?—ჰკითხა ერთერთი მოწაფე ჰანსს.
- გერმანელი ვარ,—მიუგო ჰანსმა.
- მაშ რად გაცვია ეგრე ცუდად?
- განა ყველა გერმანელს კარგად აცუა?!—გაჰბედა ჰანსმა.
- რასაკვირველია, მამაჩემი გესტაპოს აგენტია, ფულები ბევრი მოაქვს, ჯამაგირის გარეშეც მოაქვს...

— ჩემი მამა სასამართლოს თავმჯდომარეა, სახლში ყოველდღე დიდნიან ჩვენთან ბრალდებულთა მშობლები, ნათესავები და მოაქვთ მამასთან ძღვენი და ფული.—ჩაერია მეორე მოსწავლე.

- ვინ არის მამაშენი?—ჰკითხეს ჰანსს.
- ავტოქარხნის მუშაა,—სთქვა ჰანსმა და ღრმად ამოისუნთქა.
- მუშა? თფუი, მამამ სთქვა, რომ მუშები საშიში ხალხიაო.
- რითია საშიში?—იკითხა მესამე.
- აზრებით!

ჰანსს არ დაამთავრებინეს წინადადება.

— აბა, თქვენ ეი, ფილოსოფოსებო, ვისაც სამხედრო თამაში გინდათ ჩემთან მოგროვდით.—წამოიძახა მოწაფეთა მეთაურმა მაქსმა.

სამი მოსწავლე მაქსთან შეჩერდა.

— აბა, ერის, შენ იქნები ფრანკო, შენ მუსოლინი, შენ ფრანკო—იაპონია და მე კი ჰიტლერი. ჩვენი უნდა ემზოდეთ ყველას. სხვებს წავართმევთ იმას, რისი წართმევაც კი შეიძლება. გასაგებია? არავითარი უკანდახევა... აბა საომრად წინ!...—მაქსმა გასცა განკარგულება თუბრა ოთხეული აიშალა. სკოლის ეზო სულ მთლად ააწიოკეს ამ „გმირებმა“. მოწაფეთა ქულები, წიგნები, ყელსახვევი, ტანსაცმელი და სხვა ნადავლი ხის ძირში დააგროვეს. ოთხეულმა იხეიშეს გამარჯვება, ხოლო ატირებული მოწაფეები შორიდან შესცქეროდნენ ამ თავზეხელაღებულებს.

მაქსმა—(ჰიტლერმა) სიტყვა წარმოსთქვა:

— დიდია ჩვენი ძალა, ჩვენ წმინდა სისხლის არიელები ვართ, ჩვენ ზე ხალხი ვართ, ჩვენ...—ამ სიტყვებზე მაქსს ფეხი დაუცდა „ტრიბუნდან“ და ძირს გაიშოტა.

სამეულს ხელები ეტკინა ტაშის ცეპისაგან.

— აბა, ეს კარგი ყელსახვევი, წიგნები და სხვა ნივთები—მე, და თუ რამე კარგია საერთოდ ყველა მე,—წამოიძახა მაქსმა და ნადავლის ასალეზად დაიხარა.

— არა, ეს ჩემია, ეს მე წავართვი, —წამოიძახა ერისმა-ფრანკომ და მაქს-ჰიტლერს ხელში ეცა.

— მე აქ აღარ მხედავთ? ჩემი ამაგი და თავდადება წყალში უნდა გადამიყაროთ?—წამოიძახა რუდოლფმა (მუსოლინმა) და მუშტი მოიმარჯვა.

— მაშ მე რაღა ვყოფილვარ, ეს კბილები ტყუილად ხომ არ ჩავილწე ბრძოლაში?!—სთქვა ფრანკმა (იაპონიამ) და ერის-ფრანკოს თავფური უთავაზა.

ოთხეული ერთმანეთს სცემდნენ,

ზარი დაირეკა.

მაქსი, ერისი, რუდოლფი და ფრანკი საკლასო ოთახში დირექტორის წინაშე იდგნენ თავბრუსხვევით დასიხლიანებულნი.

დირექტორს მოახსენეს სამხედრო თამაშის შესახებ...

— რას გეცხართ, ეს რა ჩავიდენიათ, რასა გავს ეს? მაურერ... თქვენც იყავით ამ ამბის მონაწილე?

— არა, ბატონო დირექტორო. მე ინგლისს ვთამაშობდი, მე თვით დავეუთმე ჩემი ამხანაგების წიგნები და ქული...

— შენ მაიერ?—იკითხა დირექტორმა...

— არა ბატონო, დირექტორო. მე საფრანკოს ვამაშობდი... მხოლოდ სამი ნივთის წართმევაში მოვეხმარე ოთხეულს და მერე ჩემთვის დავდექი, მეც კი შემეშინდა...

— მაქს შენ რაღას იტყვი?

— მე ბატონო დირექტორო, ვუცქერდი და ვფიქრობდა...

— რაზე?

— იმ წინასწარმეტყველებებზე ბატონო დირექტორო, რომ იმათაც,—ვის როლებსაც ეს მოწაფეები ასრულებდნენ საბოლოოდ ალბათ ეგრე დაემართებათ...

დირექტორმა თვალები გადმოაბრიალა და პასუხი ვეღარ მოახერხა.

კ. ზოგიაშვილი

გზავრობა და ხიზათი

(სოფ. ნაჯიხოვო, გეგეჰკორის რ.)

— ამხანაგო კოლმეურნეობის თავმჯდომარე!

— რა გინდა?

— ძლიერ გთხოვთ, ხონამდის ურემი მითავაზოთ. მოწაფე კაცი ვარ, თქვენი კოლმეურნეობის წევრი, დიდი მძიმე ტვირთი არა მაქვს...

— ხი-ხი-ხიი.—ჩაიხიხიოთ თავმჯდომარემ, —ბიძია, შენ წელს არ გაგივლია ჩვენს არემარეზე? ხომ ხედავ... თვალბუნი რემატიზმები ხომ არ გჭირს—მომაყარა სიტყვები სხაპა-სხუპით კოლ. თავმჯდომარემ.

— რატომ კაცო?!

— იმიტომ, რომ... გახედე ჩვენს საურმე ფარდულს, ურემის ნამტვრევთაგან კალთა გაკეთებული.

— მაგი... ჰო, მეც დავინახე. მაგრამ...

— მაგრამ რა, მამაცხონებულო, ურემის ჯოგები კი არ გვყავს, ჩვენ...

— არა, ნუ გაცხარდებით, იქნება სადმე ერთი ურემი და მათხოვეთ.

— მაშ კარგი, თხოვნა შემოიტანეთ.

— კარგი.— მიუგე მე და შეუდექი განცხადების წერას. ცოტა ხნის შემდეგ მივართვი. თხოვნა:

თხოვნა

მე, აბელ შალიკოს-ძე დანელია გთხოვთ, რომ ხონამდის ურემი მათხოვოთ. დიდის მორიდებით მოვეყარობი გზაში. ისე, რომ არ გავუტეხავ არაფერს.

მთხოვნელი თქვენი პატივისმცემელი ა. შ. დანელია

თავრემ გესლიანი თვალთ შემომხედა და წააწერა რეზოლუცია: გაცით გ. ცან,

— ვის მიუტანო, ეს?

— ბრიგადირს.— მითხრა მან.

მიუტანე ბრიგადირს და მითხრა:

— ვინ გიშლის ბიჭო! შენი იყოს სულ. ბრიგადირი ხარხარებდა.

გამიკვირდა ბრიგადირის მოქცევა,

— სულ არა ბატონო, ხონამდის მინდა, ხონამდის. ვის ვთხოვო?

— რა თხოვა გინდა, წადით და გამოყვება.

— როგორ?

კარგად. „გაცით დ. გან.“ წერია და შენი იყოს სულ ის თავმჯდომარე... თუ კაცი სარდრო არა მაქვს, მე რა გიყო ჭირიმი. ურემი მომეცითო. ურემს მთხოვ თუ „გ. ცანკ“ს?— მითხრა მან.


— ურემი მინდა.— მიუგე მე,

— ააა? ეს სულ სხვაა, მითხრა კრიტიკოსმა ბრიგადერმა და ერთ კვირის შემდეგ ცალთვალნიანი, დანჯღრეული ურემი მომიგორეს კარებზე.

ა. დანელია.

ქბილგასაკრავი ამბები

სამგრაღია



მუხრადღება

(ბათუმის რკინისგზის დეპოს სასადილო)

რაღა ბევრი შეგაწუხოთ
ვნახე დეპოს სასადილო,
სადაც შესვლა უნდა ითქვას
არის ცოტა სათაკილო.
წვიმიან დღეს, თუ შებრძანდით
ქოლგა უნდა გქონდეთ ხელში.
თანაც თოკი, ძვლის ნატეხი—
თუ გადაგცდა უცებ ყელში.
სისუფთავეს ნულარ მკითხავთ
მოდის სუნი მძიმე შმორის.
იქვე დადის ღრუტუნითა
ღრუტუნია მაშკა ღორი.

მრავალი ბარნოზი

გარდასახველი მუხარაბა

„სადღური სად მოკვდება
სად უთხრიან სამარესო“—
„ტრანსტორგბიტის“ მალაზია
აწვალეს და აწამესო.
ლოდი გულზე დაუგორეს
და წარწერა დაადგესო:
— აქ ხალხისთვის ძუნწი იყავ,
იქ შავილდე დაგადგესო.

ზვიან იქნება თითუმი კახანანი

„სჯობს სახელისა მოხვეჯა.
ყოველსა მოსახვექელსა.“
არონჯან, ადგილკომი ხარ,
რად არ იშორებ ეჭვებსა.
გარს განხვევია ბიჭები
და გიმშვენებენ ბეჭებსა.
ქალებიც გიყვარს და დღეში
ხუმბეტჯერ უცვლი ბეჭდებსა.

შახნაზაროვის რესტორანი

ეს რა გამგე მოფრენილა,
საიდან და სადაური,
მოვიდა და მოიტანა
სხვა წესები უცნაური.
ამ რესტორანს არ აკლია
ქათამი და ინდაური.
ჩამოჯდები და ფასები
დაგაღონებს იქაური.

ჯაგნელი ზვიკი



თბილისი
ნოემბერი



ქიმი მკაოსანი

(ამბროლაურის საავადმყოფო)

ექიმ ვალო ჩიკვაიძეს
ძველი დროა გონია,
ენით, ის რომ ივინება
ყურს არ გაუგონია,
ქელიძის ქალს პანღური კრა
გამოავლო კარშია,
საწყალს ესეც არ აკმარა
ბინტიც სთხლიშა თავშია,
აქ, მან ყველა მოიმდურა,
დარაჯი და მზარეული,
ექთანები, მრეცხავები,
იქ მყოფი და „გარეული“.

ლადო

ა. ვ. ჩახოვი

ბაგების მასღაათი

ცის ლაქვარდში, ასრულდნენ რა თავიანთ ჩვეულებრივ გადაფრენას, გრძელ მწკრივად მიფრინავდნენ გარეული ბატები. წინ მიფრინავდნენ მოხუცები, ბატების დეისტეტიკური სტატუსი სოვეტნიკები, მათ უკან—მათი ოჯახები, შტაბი და კანცელარია. მოხუცები ხვნეშით არჩევდნენ მიმდინარე საკითხებს, დედალი ბატები ლაპარაკობდნენ მოდებზე, ახალგაზრდა ბატები კი, რომლებიც უკან მიფრინავდნენ, ერთიმეორეს უწმაწურ ანეკდოტებს უამბობდნენ და საყვედურს გამოსთქვამდნენ: ახალგაზრდებს ეჩვენებოდათ, რომ მოხუცები ისე სწრაფად არ მიფრინავენ, როგორც ამას ბუნების კანონები მოითხოვს.

— ასე ფრენა არ შეიძლება!—ამბობდნენ ისინი, როცა უწმაწური ანეკდოტების მარაგი ამოიწურებოდა.— ეშმაკმა იცის, რას ვავს ეს! მიფრინავთ, მიფრინავთ და შავ ზღვამდეც ვერ მივსულვართ! ეი, თქვენო მალაკეთილშობილებავ! იფრენთ თქვენ ქრისტიანულად თუ არა?

დარბაისელი მოხუცები კი სხვანაირად მსჯელობდნენ:

— არ მესმის, რატომ მიფრინავთ ჩვენ ბატო ბატის-ძევ?—ეუბნებოდა ერთი მოხუცი მეორეს, რომელიც საყვედურის გამოთქმელთა გვარებს იწერდა.— მიფრინავთ დასავლეთისკენ, უცნობ უფსკრულში, ოპერეტების ქვეყანაში. თანახმა ვარ, ოპერეტა კარგი საქმეა, აუცილებელიც კია, მაგრამ გაიგონეთ, რომ ჩვენ მისთვის ჯერ კიდევ არა ვართ მომწიფებული! მე და თქვენ, კიდევ ჰო, შეგვეფერის კუპლეტი „ჩვენ ყველანი დაბადებიდანვე უმანკონი ვართ“, მაგრამ მოუმიფრებელი გონებისთვის კი ეს დალუპავა.

— სულით და გულით მოხარული ვარ, თქვენო მალაკეთილშობილებავ, რომ თქვენში ვაოულობ ჩემი სევდის თანამონაწილეს! ბუნება გვაიძულებს ვიფრინოთ, საღი გონება კი გვეკითხება: რატომ

მიფრინავთ, განა უკეთესი არ იქნებოდა ზამთარში აქ დაფრინილიყავით? აქ ადგილიც ბევრია, საქმელიც უხვად არის და ბატური ზნეობაც შეუღახავია. შეხედეთ ამ შინაურ ბატებს! რამდენად სანატრელია მათი ხვედრი. ცხოვრობენ ერთ ადგილას... მათთვის იქ მუქთად არის საქმელიც, წყალიც და ნეხვიც, რომლის წიაღშიაც მრავალი სიმდიდრეა. მათ აქვთ მრავალცოლიანობაც, რომელიც საუკუნოებით დამკვიდრებულია... და რამდენი მნიშვნელოვანი საქციელით არის გაღამაზებული მათი მატინე! მათ რომ არ დაეხსნათ რომი, რომაული გამხრწნელი იდეების ეს დამწერველი, მათ ისტორიაში მეტოქეც არ ეყოლებოდათ! შეხედეთ, როგორი მსუქანი და კმაყოფილი არიან ისინი, როგორი პატიოსნები არიან მათი ცოლები!

— მაგრამ, თქვენო მალაკეთილშობილებავ, ჩაერთა ლაპარაკში ერთი ახალგაზრდა, უდროოდ მომწიფებული ბატი:— ამ მოჩვენებითი კმაყოფისათვის მათ ძალიან ძვირს ახდევინებენ. ისინი დამოუკიდებლობას ჰკარგავენ. მათგან, თქვენო მალაკეთილშობილებავ, ამზადებენ „ბატს კომბოსტოთი“, ბატის ქონს და ბატის ბუმბულს.

— აი, შენ რომ თავში უფრო ნაკლები გქონდეს ასეთი იდეები, — შეუბღვირა მოხუცმა, — ასე არ ილაპარაკებდი უფროსებთან. რა გვარი ხარ შენ?

და ასე შემდეგ. დანიშნულების ადგილამდე ბატები მშვიდობიანად მიფრინავდნენ. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მხოლოდ ერთხელ მოხუცმა ბატებმა მიწაზე დაინახეს შინაური ახალგაზრდა დედალი ბატი, თვალი ჩაუკრეს ერთიმეორეს, ენა გააწლაპუნეს, მგზავრ ბატთა სურსათ-სანოვანის საერთო ფულები ჩაიღეს ჯიბეში და თავქვე დაეშვნენ, თუმცა არა დიდი ხნით: ახალგაზრდა ბატმა ფული აიღო, მაგრამ მოხუცთა გრძნობები უარყო და მიზეზად თავისა უმანკოება დაასახელა.

1884 წელი.

თარგმანი ალ. მალულარიასი.



მეორენი

— ეტყობა ცუდათ აქვს საქმე ამ კოლმეურნეობას. სახურავებზე დასახურავი ჩალოც არ მკონიათ...



გოგომ ერთ ქალიშვილს ხუმრობით სატრფიალო წერილი გაუგზავნა და ასეთი პასუხი მიიღო:

„მე მხოლოდ ფეხბურთელები მომწონს“.

ამ წერილის მიღების დღეს დაღონებული იჯდა გოგი სახლში. სიტყვა „ფეხბურთი“ საწამლავად გადიქცა მისთვის. საღამოს გარედ გამოვიდა, გაზეთი იყიდა და ტრამვაის ვაგონში შერგო თავი.

— საინტერესოა, როგორ ჩატარდება ხვალ ფეხბურთის მატჩი მოსკოვში.— მოესმა ტრამვაიში კაცის ხმა.

ფეხბურთის ვაგონებზე გოგი დაფეთებულივით ჩამოხტა ტრამვაიდან და მექანიკურად ერთ ვიწრო ქუჩაზე შეუხვია.

აქ თავჩალუნული გოგი ამხანაგებს გადაეჩნა, რომელთაც უცხო ქალიშვილებიც ახლდნენ. ისინი კინოში შევიდნენ, და როდესაც ეკრანზე ფეხბურთელები გამოჩნდნენ—გოგის ისევ დაპკრა რალამაც თავში, თვალეები აერია, სუნთქვა შეეკრა და თვალის დახამხამების უმაღ გველნაკებნივით წამოვარდა ზეზე და სიბნელეში გაპკრა,

ქუჩაში რომ გამოვიდა—ღრმად ამოისუნთქა, გულზე მოეშვა და ნელი ნაბიჯით გაპკვა ვხას. ქუჩა ღლია, მეორეს შეუხვია, მერე ერთ პატარა ბაღს წააწყდა, შიგ შეეკრა, ცარიელ სკამზე დაჯდა და ელექტრონის შექმნე გუმინდელი ხაყ ი გაზეთი გაშალა; გაზეთი უგულოდ გადაათვალიერა და როცა ერთ ადგილზე საკმაოდ მსხვილი ასოებით „ფეხბურთი“ წაიკითხა, გაზეთი დაუშვა სკამზე, და უეცრად მოპკურცხლა.

*

ერთი საათის შემდეგ გოგი კულტურის და დასვენების პარკში იყო. სკამზე ჩამომაჯდარ ამხანაგს ელაპარაკებოდა. უეცრად ამხანაგმა შეაჩერა:

— აი იმ გოგოებს ხომ ხედავ?—ანიშნა მან გოგის გოგოების ერთ ჯგუფზე, რომელნიც ნელი ნაბიჯით მათკენ მოდიოდნენ—ეს, ნინა, ჩემი ბიძაშვილია. ისინი კი მისი ამხანაგები არიან, უნივერსიტეტის სტუდენტები.

— ერთი გვაკლია.— წამოიძახა ქალიშვილმა სიცილით, როცა გოგის ამხანაგს მიესალმენ.

გოგის ამხანაგმა კი პასუხის მაგივრად გოგოები დაამწყრივა და გოგის მკლავში ხელი მოპკიდა—თქვენი გვარები მოამზადეთ.—უთხრა მან გოგოებს. გოგიც მწყრივის წინ მიიყვანა.

—...შავგულიძე...

—...დოროხოვ...

— ჯორბენაძე...

იძახოდნენ სიცილით გოგოები და ხელის ჩამორთმევის შემდეგ სიცილითვე იფანტებოდნენ.

— ჯიჯელავა...

— გაგუა...

— ბერძენიშვილი...

— პაიჭაძე კი დღეს რატომღაც არ გამოცხადდა, მაგრამ იმასაც ვაგაცნობთ.— მიუბრუნდა ამხანაგი გოგის, მაგრამ გოგი აღარსად იყო. იგი ხალხს შეერია და ბალიდან თითქმის სირბილით გამოიქცა.

— ამის შემდეგ ფეხბურთის არც ერთი მატჩი არ გამოუტოვებია გოგის.

**

გოგომ ორი თვის შემდეგ კიდევ სცადა თავისი ბედი და ლამაზ, შავთვალემა გოგონას, რომელიც მის მეზობლად, ზემო სართულში ცხოვრობდა, წერილი გაუგზავნა.

პასუხი მიიღო:

— „ძვირფასო გოგი!— იწერებოდა შავთვალემა გოგონა.

— ძლივს.— წამოიძახა გოგომ და სიხარულისგან ცრემლები გადმოსცივიდა— მე მართალია თქვენზე პატარა ვარ, მაგრამ ჩემი სურვილები თქვენზე მაღლა დგანან... ჩემი სურვილები თქვენს იქით მიდიან... მე მხოლოდ ფეხბურთელს უნდა წავყვე...

ამ სიტყვების ამოკითხვაზე გოგის თავბრუ დენს და წინ წინ წაიძვინდა დილი სკამზე ჩაიკეცა. გოგომ მხოლოდ საღამოს განაგრძო წერილის კითხვა:

„... გახდი ფეხბურთელი... გახდით კარგი ფეხბურთელი და...“

მეორე დღეს გოგომ გადასწყვიტა მოლაპარაკებოდა იმ პატარა ბიჭებს, რომლებიც ბურთს თამაშობდნენ ხოლმე ეზოში. გადასწყვიტა მოლაპარაკებოდა გუნდის კაპიტანს, მეზოვის პატარა ბიჭს, გუნდში მისი მიღების შესახებ.

მოლაპარაკა კიდევ, მაგრამ გუნდის კაპიტანმა ცივი უარი უთხრა გოგის. გოგი ამით არ შეწუხებულა: მან სასწაული მოახდინა და რამდენიმე დღის შემდეგ საიდანღაც გააჩინა ბურთი, ბუცები, მაიკა, ტრუსი და მოიტანა სახლში თუ არა—სწრაფად შეუდგა ჩაცმას.

როდესაც ეზოში ბურთის მოთამაშე პატარა ბიჭებმა მაღალი და ზორბა გოგი ფიზკულტურელის ტანსაცმელში და ბურთით ხელში დაინახეს—აღტაცებით ტაში შემოპკრეს და კაპიტანს შეეხვეწნენ გოგის მიღებაზე.

გოგი მიიღეს და მეკარედ დააყენეს.

შეუდგნენ მის წვრთნას.

— ბურთი რომ ასე წამოვა—შენ ასე გაწევი, აი ასე... ახლა გაიმეორე. კიდევ... კიდევ... გეყოფა. ახლა ბურთი რომ კარებთან ტრიალებს—როგორ უნდა მოიქცე. ხედავ?... ასე არ ვარგა... მაინც არ ვარგა... თითქო ცეკვა... ჰო ასე!..

თამაში დაიწყო. თამაშობდა გოგის ეზოსა და მეზობელ ეზოს ბიჭების გუნდი.

პირველ წუთიდანვე ბურთი გოგის ბადისკენ წამოვიდა. გოგომ დაიწყო ბადესთან სირბილი. ერთი წამი და ბურთი ბადისკენ მიდის, მაგრამ მცველმა იგი შორს გადატყორცნა...

შემდეგ ერთერთმა მოწინააღმდეგემ ბურთი ძლიერი დარტყმით ბადისკენ გაგზავნა, მაგრამ გოგომ იგი მოხერხებულად დაიჭირა და რომ სხვებისთვის ბურთის დაჭერის უფრო მეტი სიძნელე ეგრძობინებინა—იმ წამშივე თითონაც ბურთივით დაეცა და ფეხები მაღლა აიშვირა.

— ურბა გოლკიპერ!.. მაღაღეც გოლკიპერ!— შეპკმნეს ტაში კიბეებზე ჩამომხნდარმა პატარა ბიჭებმა, რომლებიც თამაშს უყურებდნენ. თამაში ისევ დაიწყო... მაგრამ ერთერთმა მოწინააღმდეგემ ბურთი გადასცა მეორე თავდამხნმელს, თითონ წინ გამოიქცა და როცა ბურთი ისევ მიაწოდეს მას, ამ უკანასკნელმა ისე ძლიერი დარტყმით გაგზავნა იგი ბადისკენ, რომ გოგი განცვიფრებაში მოვიდა, თუ როგორ მოახერხა პატარა ბიჭმა ბურთის ასე გამოტყორცნა და... ბურთი ბადეს მოხვდა.

— ფინაჩ გოლკიპერ!.. სორნი იაშიჩ გოლკიპერ! გოლკიპერ ესკიმო!— სტვენდნენ „მაყურებლები“.

მეორე ტაიმში ანგარიში გადიდა მოწინააღმდეგეების სასარგებლოდ.

თამაშის დასასრულს გოგის მეზობელ შავთვალემა გოგონის ხარხარი მოესმა.

გოგომ უხერხულად იგრძნო თავი, თავის ჩაცმულობა მოათვალიერა და მერე ტრუსიკი გაისწორა...

ყვირილი, სტვენა, შეძახილი მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როცა ბურთი ბადეს მოხვდა.

— ჰმ, მეკარე!— მოესმა გოგის შავთვალემა გოგონას დამცინავი სიტყვები და „ჩინებული“ მეკარე „სტადიონიდან“ გაიპარა.

**

— ყველაფერს იღბალი უნდა— „დინიმოს“ ფეხბურთელებზე გიჟდებიან ქალიშვილები. ახლა მეც ხომ ფეხბურთელი ვარ? თუ წავაგე ეს არაფერს ნიშნავს, „დინიმოს“ გუნდი ხომ არა ვარ ყოველთვის წავაგო, ერთხელ თუ წავაგებ მეორედ მოვიგებ.— თავისთვის ფიქრობს გოგი და იმედს არ ჰკარგავს.

ჩვენი ღონისა



ქართული ემიგრანტები პარიზში

— რაფრა გამოცვლილხარ მუსიო ქაიხოსრო! ათი წელიწადია აღარ მინახვიხარ. ეგ ძველი ტანსაცმელი რომ არ გცმოდა ვეღარ გიცნობდი!

ნეტავ სოტა მწყალობდეს!

(ბორჯომი, მუშათა უბანი)

ნეტავ სოტა მწყალობდეს პოეზია, ლირიკა, რომ „ნიანგში“ გავლექსო ჩვენი პოლიკლინიკა. მის სახურავს უვარგის ძსურს უძღერო ნელადა, ოთახებში ისე წვიმს, როგორც მინდორ-ველადა. წვიმის წვეთებს ვერ იჭერს სახურავი დამდნარია, საექიმოთ ნუ მიხვალთ გირჩეკო, თუ ავღარა. ორ ოთახში მუშაობს აქ ექიმი შვილია, მათი ტანისამოსი თოკზე გასაკილია.

პაული.

ტიკო-ტიკოს (სტალინური) იწერებით:

კოლდუქნისა გამგემა
ხუთმეტი წყვილი ტუფლი მიიღვო.
მეორე დილას მომხმარებლემა
ერთი წყვილი ღა აღმოვაჩინეთო.

დიდი უთვისტომო გამგე ჰყოლია თქვენს კოოპერატივს: რა დაე-მართა მაგ კაი კაცს, მაგხელა ქალაქში თოთხმეტ ნაცნობზე მეტი არა ჰყავს?

გვარუჩვენებელს: (ჩხარი) მოგვყავს ნაწვევტი თვენი სამკურნალო პოემიდან:

„თერჯოლის თემში შეიქნა
პარასკევდილას კივილი
ან არის ქალი ორსული
ან კიღო გაჭივრებული
ექიმ დოლიძემ ესე ამბავი
შეატყობინა ჯან-განსა.
ჯანგანმა პასუხის ნაცვლად
შეატყობინა მანქანას,
მანქანა ეძებს შოფერსა
შოფერი არის ჯანდაბას...“

დიდი მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი გცოდნიათ. რატომ პირდაპირ არ გვისახელებ შოფერის მისამართს: ჯანდაბა ხომ სამიკიტნოს ჰქვიან ჩხარულ ენაზე.

იძაშრს (ბათუმი) მოგვყავს ერთი ადგილი თქვენი მასალიდან, რომელიც რკინიგზის საავადმყოფოს ეხება:

„ბალინცაში გამანწერეს
ორი მაწონი მომცესა
მეორე დღეიზა უნდა შემეჭამა
მარა თავგმა კოხტად ამოჭამესა.“

არ გვეჯერა, განა საავადმყოფოს გამგე ისე წახდება, რომ მაწონი თავგებს შეაჭამოს?

ბერიკიოვილს: (სამტრედია) იწერებით:

„სამტრედიაში მეშვიდე წელია რაც ქალაქის საბჭო სასტუმროს შენობას აშენებს, მაგრამ მის აშენებას დღემდე საშველი არ დააღვაო.“

რამ შეგაწუხათ თქვე კაი კაცო: გაახსენეთ სამტრედიის საბჭოს მუშაკებს, რომ სასტუმროს შენობის რესტორნად გადაკეთება შეიძლება და მშენებლობას ორ დღეში დაამთავრებენ.

სემიორს: (ბაღდათი) დიდი მოუსვენარი კაცი ყოფილხართ...

„ჩემს მეზობელს კარგათ მცხოვრებს
ყავდა მარტოდ ქალიშვილი
ამ ქალიშვილს ყვარებია
ვიღაც ბიჭი — დვალისშვილიო“... — იწერებით.

ქართული ანდაზაა: „სხვისი გოჭი, სხვის ბოსტანში ია-უას იძახო-დაო“ მერე რა, იბედნიერონ, ნიანგს რა ენალელება!



გამოსდილავის შედეგად

იპოვნელი ოფიცერი.—რა არის კომკავშირი?

იპოვნელი ჯარისკაცი.—სამურაების გამანადგურებელი კავშირია, ბატონო ოფიცერო!

პ/მგ. რედაქტორი ი. ბ. ხომერიკი. კოლეგიის წევრები: ს. ბაჩიჩილაძე, ი. შაკელი, ირ. აბაშიძე, დ. გელაშვილი.

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 5, ტელეფონის № 3-74-67. „კომუნისტის“ სტამბა კამოს ქ. № 68.

გადაეცა წარმოებას 25/X ხელმოწერილია დასმბეჭდათ 2/XI 38 წ. შეკვეთის № 1040 მთავლიტის რწმუნებული ბ. 4155 ტირაჟი 15000.